შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი;

ბ/ კალენდარული გეგმა;

გ/ გრაფიკული ნაწილი:

ნახაზი მო-1----------სამშენებლო გენგეგმა-ბლოკი 1-2-3;
ნახაზი მო-2----------სამონტაჟო სქემა /ბლოკი 1/;
ნახაზი მო-3----------სამშენებლო გენგეგმა—სადემონტაჟო სამუშაოები;
ნახაზი მო-4----------სამშენებლო გენგეგმა—ბლოკი 4-5, კაფე და კომერციული ფართი

ა/ განმარტებითი ბარათი

1 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ჯავახეთის ქ.№166-ში, ს/კ 01.19.36.013. ტერიტორიაზე იგეგმება საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი შესდგება 5 საცხოვრებელი ბლოკისაგან და კაფე+კომერციული ფართისაგან. ბლოკი 1-დან მე-4-ე ბლოკის ჩათვლით შენობებს აქვს საერთო საპარკინგე სივრცე 2 მიწისქვეშა სართულის სახით. მე-5-2 ბლოკი წარმოადგენს 8 მიწისზედა საცხოვრებელი სართულს და 2 სართულიან შენობას კაფისა და კომერციული ფართების ფუნქციით.

ბლოკები კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია როგორც კარკასული ნაგებობა მონოლითური რკინაბეტონისაგან. სართულშუა გადახურვა აგრეთვე გათვალისწინებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან. სახურავი იქნება ბრტყელი.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

ცხრილი №1

N	ბლოკი	მაჩვენებელი				
		საცხოვრებელი ფართი, მ^2	განაშენიანების ფართი, მ^2	სამშენებლო მოცულობა, მ^3	სარდაფის ფართი, მ^2	ავტოფარეხის ფართი, მ^2
1	ბლოკი №1	2173.41	370.72	+10038.46 -4039.55	137.31	751.16
2	ბლოკი №2	2175.65	365.99	+10031.82 -3338.91	187.44	707.25
3	ბლოკი №3	2150.27	366.58	+10038.93 -3436.83	198.06	765.90
4	ბლოკი №4	2175.65	377.17	+10031.82 -3259.02	163.43	609.57

5	ბლოკი №5	1930.45	690.72	+12980.17 -948.97	323.55	კომერციული და კაფეს ფართი, მ^2 917.93
6	ტერიტოტიის საერთო ფართი, მ^2	5720.00				

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ფენები:

– ფენა 1 – ტექნოგენური ნაყარი გრუნტი წარმოდგენილია მსხვილნატეხოვანი (კენჭები, ღორღი), თიხოვანი (თიხა, თიხნარი) და სამშენებლო ნაგვის ნარევით;

-- ფენა 2 – თიხოვანი გრუნტი – მოყვითალო, ღია ყავისფერი თიხნარი, მყარი – ნახევრადმყარი, წვრილი ღორღის და ხვინჭის 10–15%-მდე ჩანართებით;

– ფენა 3 – ალუვიური მსხვილნატეხოვანი – კენჭნაროვანი გრუნტი, ქვიშნარის 25–30%-მდე შემავსებლით;

– ფენა 4 – ფიქლებრივი თიხები თხელშრეებრივი ქვიშაქვების შუაშრეებით.

გრუნტის წყალი გამოვლინდა 5.0—7.5მ მიწის ზედაპირიდან. ჭყლის საორიენტაციო მოდენი ქვაბულის ყოველი მ2-დან, ან თხრილის გრძივი მეტრიდან, მიღებული იქნეს 0,01 ლ/წმ.

ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85

ცხრილი №2

N	ბლოკი	СниП 1.04.03-85 /თვე/				
		ანალოგი გვ 480, პ.6	გვ 477, პ.19 და გვ 483, პ12	გვ. 477, პ.16	გვ 2, პ 11	გვ 4, პ.17
1	ბლოკი №1	T=9.00	T=9.00+0.5 x 10.00=14.00	-	T=14.00+1.50= =15.50	T=15.50 x 1.15=**18.00**

2	ბლოკი №2	T=9.00	T=9.00+0.5 x 10.00=14.00	-	T=14.00+1.50= =15.50	T=15.50 x 1.15=**18.00**
3	ბლოკი №3	T=9.00	T=9.00+0.5 x 10.00=14.00	-	T=14.00+1.50= =15.50	T=15.50 x 1.15=**18.00**
4	ბლოკი №4	T=9.00	T=9.00+0.5 x 10.00=14.00	-	T=14.00+1.50= =15.50	T=15.50 x 1.15=**18.00**
5	ბლოკი №5	T=8.00	-	T=8.00+0.5 x 9.00=12.50	T=12.50+1.50= =14.00	T=14.00 x 1.15=**16.00**

შენიშვნა: სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება მოხდეს 4.00 თვეში. მშენებლობის სრული ხანგრძლივობა მიღებულია **36.00თვე,** იხილე პროექტის კალენდარული გეგმა.

<u>მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს</u> /მშენებლობის წარმოების მიხედვით/:

--ტერიტორიის შემოღობვა დროებითი ღობით;
--არსებული წყალსადენის ქსელის გადატანა;
--ხეების გადანერგვა;
--საპროექტო გზების მოწყობა ასფალტის საფარის გარეშე;
--დროებითი "შენობა-ნაგებობის" განლაგება ჯერ აშენებულ ნულოვანი ციკლის თავზე /იხ. ნახაზი მო-1/ და შემდეგ აშენებულ ბლოკი №3-ში /იხ. ნახაზი მო-3, მო-4/;
--საპროექტო ქსელების გაყვანა;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;
--სამშენებლო მასალების შემოტანა სამშენებლო მოედანზე;
--ხანძრისგან დაცვის სისტემის გათვალისწინება.

შენიშვნა: მშენებლობის წარმოებისას დროებითი "ნაგებობების" გადაადგილება მოხდეს საჭიროების თანახმად!

3. გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით მთლიანი მოცულობის დატვირთვით და გატანით, "დ" ღერძის გასწვრივ ქვაბულის კედლის გამაგრებით /იხ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი/. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით და ბულდოზერით. სამუშაოების დაწყებამდე დაზუსტდეს არსებული ქსელების ადგილმდებარეობა!

დამუშავების სიძნელის მიხედვით, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

--ნაყარი (ფენა 1) – სამივე სახეობით დამუშავებისას (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) – II ჯგუფს;
--თიხნარი (ფენა 2) – სამივე სახეობით დამუშავებისას – II ჯგუფს;
--კენჭნარი (ფენა 3) – ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას – II ჯგუფს, ბულდოზერით და ხელით დამუშავებისას – III ჯგუფს.

გრუნტის დამუშავება მოხდეს СНиП-III-4-80, ცხრ№4-ის თანახმად.
დამუშავების სიღრმე **1.5მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:
--ნაყარი 1:0.67;
--თიხნარი 1:0;
--კენჭბარი 1:0.5
დამუშავების სიღრმე **3.0მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:
--ნაყარი 1:1;
--თიხნარი 1:0.25;
--კენჭნარი 1:1
დამუშავების სიღრმე **5.0მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:
--ნაყარი 1:1.25;
--თიხნარი 1:0.5;
--კენჭნარი 1:1

ფენა №4-ის დამუშავება საჭიროების თანახმად მოხდეს წინასწარი გაფხვიერებით

4. საპროექტო კომპლექსის მშენებლობა მოხდეს სტაციონალური ბეტონის ტუმბოს და სამშენებლო საწევლების დახმარებით. უსაფრთხოების თვალსაზრისით “დ” ღერძის გასწვრივ იატაკის დონეზე მოხდეს ბადიანი საფარების მოწყობა.

სამუშაოების წარმოება უნდა მოხდეს ორი რიგის მიხედვით:
პირველი რიგი---------მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები:
--პირველი ეტაპი-----მოედნის მოწესრიგება, არსებული წყალსადენის ქსელის გადატანა----------**75 დღე**;
--მეორე ეტაპი------შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება-------**15 დღე**.
მეორე რიგი---------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:
ბლოკი 1-2-3
--მესამე ეტაპი-------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, ფუძის და საძირკვლის

მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე----------120 დღე;
--მეოთხე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან----------210 დღე;
--მეხუთე ეტაპი----სახურავის და გადახურვის მოწყობა----------30 დღე;
--მეექვსე ეტაპი-----არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------150 დღე;
--მეშვიდე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა----------30 დღე;
--მერვე ეტაპი-------ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------30 დღე;
--მეცხრე ეტაპი--------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------120 დღე;
--მეათე ეტაპი---------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------15 დღე.

მეორე რიგი--------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:
ბლოკი 4-5, კაფე
--მესამე ეტაპი-------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, ფუძის და საძირკვლის
მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე----------120 დღე;
--მეოთხე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან----------210 დღე;
--მეხუთე ეტაპი----სახურავის და გადახურვის მოწყობა----------30 დღე;
--მეექვსე ეტაპი-----არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------150 დღე;
--მეშვიდე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა----------30 დღე;
--მერვე ეტაპი-------ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------30 დღე;
--მეცხრე ეტაპი--------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------120 დღე;
--მეათე ეტაპი---------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------15 დღე.

5. სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით.
უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტის მიერ სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე მოხდეს საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და პრევენციული ზომების შემუშავება!
აკრძალულია: სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება **ორი-სამი კონსტრუქციების ერთად**!
სამუშოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:
კონსტრუქციის დროებითი გამაგრება /საჭიროების შემთხვევაში/, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა: სპეციალური ქამრებით, რესპირატორებით, დამცავი სათვალეებით, ხმაურდამხშობი საყურისებით, ხელთათმანებით და სპეც. ტანსაცმლით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი დასალაგებელი ადგილი, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების **შეჩერება** და ყველა

სადემონტაჟო კონსტრუქციის **გამაგრება.** ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

სახურავის და სახურავის კონსტრუქციების მოხსნის პირობები და თანმიმდევრობა:
---საფარის მოხსნა;
---შეფიცვრის დაშლა ზედა წერტილიდან კარნიზამდე;
---ხის კონსტრუქციების კვანძების გახსნა;
---სამუშაო ადგილების პერიოდული დასველება
შენიშვნა: სამუშაოების განხორციელებაში მუშების ასაკი არ უნდა იყოს 18წლის ნაკლები.

აგურის წყობის დაშლის პირობები და თანმიმდევრობა:
---პირველ რიგში ხდება ზედა რიგის დაშლა;
---ინსტრუმენტის გამოყენება /ძალაყინის/ ხდება ჰორიზონტალური ნაკერების მიმართულებით;
---შიდა ხარაჩოების დაყენება;
---სამუშაო ადგილების პერიოდული დასველება
შენიშვნა: შიდა ხარაჩოები უნდა იყოს ქარხნული ინვენტარული ტიპის. სიმაღლე---900მმ-1800მმ, სიგრძე—5500მმ, სიგანე – 2400მმ, მასა 234კგ.

მუშა-პერსონალის მუშაობის უსაფრთხოების პირობები:
--მოეწყოს სამუშაო მოედანზე გამაფრთხილებელი და აკრძალავი ნიშნები;
--მემანქანის მუშაობა უნდა განხორციელდეს შესაბამისი სიგნალის შემდეგ;

6. უსაფრთხოების ტექნიკა

გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.
საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.
მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

7. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.
პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:
კანონი “გარემოს დაცვის შესახებ” 1996წ განსაზღვრას იმ ზოგად მოთხოვნებას , რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.
კანონი “წყლის შესახებ” 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაძვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.
კანონი “ატმოსფერული ჰაერის შესახებ” 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.
კანონი “ მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ” 1998წ მოიცავს მავნე ნივთირების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.
გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.
ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის მიქსერის საშუალებით.
საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

8. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2, მო-3, მო-4 ერთად.

ТП-5 –ის ტექნიკური დახასიათება

1 ტვირთამწეობა----------500.00კგ
2 აწევის სიმაღლე----------50.00მ
3 აწევის სიჩქარე----------0.50მ/წ

სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715-ის** ტექნიკური დახასიათება

1 დანადგარის ზომები----------3.00x1.39x1.39მ
2 მექანიზმის წონა----------1700.00კგ
3 წვდომა:
-ვერიკალურად----------60.00მ
-ჰორიზონტალურად----------200.00მ

ყურადღება!!! ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.

სამონტაჟო სქემა /ბლოკი №1/



შენიშვნა: სამშენებლო საწევლის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად

სამონტაჟო სქემა ბლოკი 1-2-3

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №166 ს/ა 01.19.36.013.063

დამკვეთი: ოთარ დუმბაძე

შენიშვნა
ზომები მოცემულია მილიმეტრებში

ექსპლიკაცია

ნახაზი	მო-2
მასშტაბი	1/300

არქიტექტორი ო. დუმბაძე

დამკვეთი ბ.ჭოგოლაური

თარიღი - 27.03.2024



ექსპლიკაცია

1	საპროექტო ბლოკი 1-2-3
2	პერსპექტიული მშენებლობა
3	არსებული სადემონტაჟო შენობა-ნაგებობა
4	სამშენებლო საყრდენი **TTI-5**–3 ცალი
5	დროებითი ღია სასაწყობო
6	სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715**–2 ცალი
7	ბეტონის მიმწერი
8	დროებითი ღობე
9	დროებითი ჰიშკარი
10	დროებითი ბიოტუალეტი
11	დროებითი დახურული საწყობი
12	დროებითი კვების "ოთახი"
13	სამშენაოთა მწარმოებლის "ოთახი"
14	დროებითი საცარაულო

პირობითი აღნიშვნები

- -საპროექტო ბლოკი
- -პერსპექტიული მშენებლობა
- -არსებული სადემონტაჟო ნაგებობა
- -დროებითი "ნაგებობა"
- -დროებითი ღობე
- -არსებული გადასატანი წყალსადენი

სამშენებლო გენგეგმა ბლოკი 1-2-3

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №166
ს/კ 01.19.36.013.063

დამკვეთი: ოთარ დუმბაძე

შენიშვნა
ზომები მოცემულია მილიმეტრებში

ექსპლიკაცია

ნახაზი	მო-1
მასშტაბი	1/700

არქიტექტორი ო. დუმბაძე
დამკვეთი ბ.მოროლუური

თარიღი - 27.03.2024



"დ" ღერძის გასწვრივ ორივე ბლოკზე
უნდა გაკეთდეს:
--ქვაბულის კედლის გამაგრება;
--ბადიანი საფარების მოწყობა იატაკის დონეზე

შეზღუდული პირობების გამო დროებითი "ფართების"
განლაგება მოხდეს აშენებულ ბლოკებში:
ექსპლ. №№11, 12, 13

პირობითი აღნიშვნები

- -მშენებარე და საპროექტო ბლოკი
- -დროებითი "ნაგებობა"
- -დროებითი ღობე
- -საპროექტო კაფე

ექსპლიკაცია

1 მშენებარე ბლოკი 1-2-3
2 საპროექტო ბლოკი 4-5
3 საპროექტო კაფე და კომერციული ფართი
4 სამშენებლო საწეველა **ТП-5**--2 ცალი
5 დროებითი ღია სასაწყობო
6 სტაციონანალური ბეტონის ტუმბო
Putzmeister P-715--1 ცალი
7 ბეტონის მიქსერი
8 დროებითი ღობე
9 დროებითი ჭიშკარი
10 დროებითი ბიოტუალეტი
11 დროებითი დახურული "ფართი"
12 დროებითი კვების "ფართი"
13 სამუშაოთა მწარმოებლის "ფართი"
14 დროებითი საყარაულო

სამშენებლო ბენზემა ბლოკი 4-5

მრავალბინიანი
საცხოვრებელი სახლი

ქ. თბილისი ,
ჯავახეთის ქუჩა №166
ს/კ 01.19.36.013.063

დამკვეთი: ოთარ დუმბაძე

შენიშვნა
ზომები მოცემულია მილიმეტრებში

ექსპლიკაცია

ნახაზი მო-4
მასშტაბი 1/700

არქიტექტორი ო. დუმბაძე
დაამუშავა ბ.გოგოლაური

თარიღი - 27.03.2024


Существующее здание магазина "Пятерочка" с кадастровым номером 61:44:0020701:1, площадью 1 582 кв.м, принадлежащее ООО "Агроторг" на праве собственности
Земельный участок с кадастровым номером 61:44:0020701:1, площадью 1 582 кв.м, принадлежащий

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №166
ს/კ 01.19.36.013.063

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

არქიტექტორი ო. დუმბაძე

დაამუშავა ბ.გოგოლაური

ქ. თბილისი 2024წ

ბ/ კალენდარული გეგმა 36.0 თვე

№ ეტ	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	დღე	თვეები																																																																							
			1		2		3		4		5		6		7		8		9		10		11		12		13		14		15		16		17		18		19		20		21		22		23		24		25		26		27		28		29		30		31		32		33		34		35		36	
			15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15
	მშენებლობის პირველი რიგი																																																																											
	მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები																																																																										
I	სამშენებლო მოედნის მოწესრიგება არსებული წყალსადენის ქსელის გადატანა	75																																																																										
II	შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება	15																																																																										
	მშენებლობის მეორე რიგი																																																																										
	მშენებლობის განხორციელების ძირითადი პერიოდის სამუშაოები																																																																										
	ბლოკი 1-2-3 /ერთდროული მშენებლობის შემთხვევაში/																																																																										
III	შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები ნაწილობრივი გამაგრებით	120																																																																										
	შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები																																																																										
	შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები																																																																										
	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე																																																																										
IY	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან:																																																																											
	0.00–6.20მ-მდე	45																																																																										
	6.20–12.40მ-მდე	45																																																																										
	12.40–18.60მ-მდე	45																																																																										
	18.60–24.80მ-მდე	45																																																																										
	24.80–27.60მ-მდე	30																																																																										
Y	შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა	30																																																																										
YI	არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა	150																																																																										
YII	შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო–ტექნიკური ქსელების მოწყობა	30																																																																										
YIII	ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი	30																																																																											
IX	შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	120																																																																										
X	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები	15																																																																										
	სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება																																																																										
1	სახურავის და სახურავის კონსტრუქციების დაშლა	120																																																																										
2	კარ-ფანჯრების, ტიხრების და ხის აივნების დემონტაჟი																																																																										
3	იატაკის აყრა, აგურის კედლების და ხის გადახურვის დანგრევა																																																																										
4	გრუნტის დამუშავება ხელით																																																																										
5	საძირკვლის დანგრევა-ამოღება																																																																										
6	ბეტონის ბაქნების დაშლა																																																																										
7	ასფალტის და ეზოს მოსაპირკეთებელი ფილების აყრა																																																																										

ვეტერინარული მომსახურების ტარიფები

	ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები		
	ცხოველთა ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება (ერთი ცხოველის)		
	ცხოველთა ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება (ერთი ცხოველის)		
	ცხოველთა ანთრაქსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება (ერთი ცხოველის)		
	ცხოველთა ლეპტოსპიროზის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება (ერთი ცხოველის)		
	ცხოველთა ბრუცელოზზე სისხლის ანალიზის ჩატარება (ერთი ცხოველის)		
	ცხოველთა ტუბერკულინზე ალერგიული ტესტირების ჩატარება (ერთი ცხოველის)		
	ცხოველთა ანთრაქსზე სისხლის ანალიზის ჩატარება (ერთი ცხოველის)		
	ცხოველთა ლეპტოსპიროზზე სისხლის ანალიზის ჩატარება (ერთი ცხოველის)		
	ცხოველთა ტოქსოპლაზმოზზე სისხლის ანალიზის ჩატარება (ერთი ცხოველის)		
	ცხოველთა ლეპტოსპიროზზე შარდის ანალიზის ჩატარება (ერთი ცხოველის)		
	ცხოველთა ტოქსოპლაზმოზზე შარდის ანალიზის ჩატარება (ერთი ცხოველის)		
	ცხოველთა ტოქსოპლაზმოზზე ნაკელის ანალიზის ჩატარება (ერთი ცხოველის)		
	ცხოველთა ლეპტოსპიროზზე ნაკელ